



ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია

საქართველო, რეგ.რაქა-ლექსუმ-ქვემო სვანეთი, ცაგერი, ცაგერი, ცაგერი (ახალი), რუსთაველის ქ., N 58

ვებ-გვერდი: <http://tsageri.gov.ge/>

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო რიგითი სხდომა

31.01.2019

ოქმი N 33RSX00066

სხდომის დამსწრე პირები

სხდომის თავმჯდომარე: ზურაბ ხეცურიანი - ადმინისტრაციული სამსახური, პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი

სხდომის თავმჯდომარის მოადგილე: იამზე ბურჯალიანი - იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი

სხდომის მდივანი: მირზა ქომეთიანი - ადმინისტრაციული სამსახური, პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე

სხდომის წევრი: ნუგზარ ტვილიანი - ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილება, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

სხდომის წევრი: შორენა დვალი - იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

განსახილველი საკითხები

მაია მახარობლიძე

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების შესახებ

ლია კენჭუაშვილი

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების შესახებ ქეთევანი ახვლედიანი

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების შესახებ ლენა გაბიძაშვილი

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების შესახებ

შალვა ხვადაგიანი

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების შესახებ

სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები

სხდომა გახსნა სხდომის თავმჯდომარემ, პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა ზურაბ ხეცურიანმა და საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

მოისმინეს: შალვა ხვადაგიანის; ლენა გაბიძაშვილის; ქეთევან ახვლედიანის; მაია მახარობლიძისა და ლია კენჭუაშვილის მიერ სტატუსის მინიჭების თაობაზე წარმოდგენილი განცხადებების განხილვისა და მუნიციპალიტეტის მერისათვის რეკომენდაციის წარდგენის შესახებ.

/მომხსენებელი ზურაბი ხეცურიანი/

ადინიშნა, რომ შემოსულია 5 სტატუსის მაძიებლის განცხადება, რომელთაც სრულყოფილად აქვს წარმოდგენილი დოკუმენტაცია მათ შორის ყველას აქვს წარმოდგენილი: განცხადება, საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, მაღალმთიან დასახლებაში კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრების დამადასტურებელი 2 დოკუმენტი მაინც, ყველა პიროვნება რეგისტრირებულია ან დევნილი მოწმობით რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში და ყველა არის საქართველოს მოქალაქე, შესაბამისად დასახელებულ პიროვნებებზე შესაძლებელია გაიცედ დადებითი რეკომენდაცია სტატუსის მინიჭების შესახებ. სხდომაზე განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

გადაწყვეტილება

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის # 591 დადგენილებით დამტკიცებული „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის წესის“ მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

შალვა ხვადაგიანს მიეცეს დადებითი რეკომენდაცია სტატუსის მინიჭების შესახებ;


ლენა გაბიძაშვილს მიეცეს დადებითი რეკომენდაცია სტატუსის მინიჭების შესახებ;

ქეთევან ახვლედიანს მიეცეს დადებითი რეკომენდაცია სტატუსის მინიჭების შესახებ;

მაია მახარობლიძეს მიეცეს დადებითი რეკომენდაცია სტატუსის მინიჭების შესახებ;

ლია კენჭუაშვილს მიეცეს დადებითი რეკომენდაცია სტატუსის მინიჭების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე: /ზ. ხეცურიანი/ 

სხდომის თავმჯდომარის მოადგილე: /ი. ბურჯალიანი/ 

სხდომის მდივანი: /მ. ქომეთიანი/ 

სხდომის წევრი: /ნ. ტვილიდიანი/ 

სხდომის წევრი: /შ. დვალი/ 